

ინფორმატიკის დიდაქტიკური სისტემა

გურამ ჩაჩანიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

საინფორმაციო სისტემებისა და ტექნოლოგიების გამოყენებამ კარდინალურად შეცვალა საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე პროცესები. ეს ინფორმატიკის დიდაქტიკის წინაშე აყენებს სრულიად ახალ ამოცანებს, რაც მდგრადრეობს სწავლების თანამედროვე პროცესების აღწერასა და განააღმინდება სწავლების პროცესის თანამედროვე მენეჯმენტის დამუშავებაში, სასწავლო სისტემებისა და ტექნოლოგიების რეალიზებაში. ამ მიზნით, სტატიაში განიხილება ინფორმატიკის დიდაქტიკური სისტემის ძირითადი ელემენტები: საინფორმაციო ეპოქის სტუდენტის მოდელი; ინფორმატიკის დიდაქტიკური, როგორც ინფორმაციული საზოგადოების განვითარების, განათლების დემოკრატიული სისტემის შექმნის, განათლების ხარისხის ამაღლების, საგანმანათლებლო დაწესებულებების მრავალსახეობისა და ფორმის შექმნის ხელშეწყობი საშუალება და სხვ.

საკანონი სიტყვები: ინფორმატიკის დიდაქტიკა. საინფორმაციო სისტემები და ტექნოლოგიები. ინფორმაციული საზოგადოება. განათლების ხარისხი.

1. შესავალი

დიდაქტიკა პედაგოგიკის დარგია, რომელიც ამუშავებს განათლებისა და სწავლების თეორიულ საფუძვლებს. დიდაქტიკის მეცნიერული კვლევის საგანმანათლებლო სისტემების პრინციპები და კანონზომიერებანი, მისი მიზნები, მეთოდები, ფორმები, მინარესი, საშუალებები და პასუხობები: ვის ვასწავლოთ, როგორ ვასწავლოთ, რით ვასწავლოთ, ვინ ასწავლოს და ა.შ. დიდაქტიკას პედაგოგიკურ მეცნიერებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს და მან არსებობის მანილზე კაცობრიობის განვითარების საქმეში დიდი როლი ითამაშა. დიდაქტიკა, როგორც დინამიური სისტემა, ყოველთვის განვიდიდა ეპოქასთან შესაბამის ცვლილებებს და ეს ცვლილებები გამოწვეული იყო ობიექტური მიზეზებით. ძირითადი მიზეზი კი ყოველთვის იყო საზოგადოების მოთხოვნა განათლების სისტემის მიმართ და განათლების ხელშეწყობი ახალი ტექნიკური საშუალებების დანერგვა საგანმანათლებლო პროცესში სწრაფი ტემპით.

უნდა ითქვას, რომ უკანასკნელი ოცი წელი აღინიშნება განსაკუთრებული აღმასვლით განათლების სისტემაში ინფორმატიკის, კერძოდ კი, საინფორმაციო სისტემებისა და ტექნოლოგიების გამოყენების მიმართებაში. ახალმა ინფორმაციულმა სისტემებმა და ტექნოლოგიებმა, კომპიუტერულმა მასწავლმა სისტემებმა, საკომუნიკაციო ინტერნეტ ქსელებმა და სხვა ელექტრონულმა მასწავლმა საშუალებებმა კარდინალურად შეცვალეს საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე პროცესები და ახალი მოთხოვნები წაუყენეს საგანმანათლებლო სისტემებს. ეს კი ინფორმატიკის წინაშე სრულიად ახალ ამოცანებს აყენებს, რათა აღიწეროს და განააღმინდეს სწავლების თანამედროვე პროცესები და მათი რეალიზების პირობები, დამუშავდეს სწავლების პროცესის თანამედროვე მენეჯმენტი, უახლესი სასწავლო სისტემები და ტექნოლოგიები.

ასე, რომ, თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და მით უმეტეს, ინფორმაციული საზოგადოების განვითარების ტენდეცია, რომელიც ინფორმატიკის განვითარების თანამდევი პროცესია, ინფორმატიკის დიდაქტიკას აყენებს განსაკუთრებულ მდგომარეობაში. საგანმანათლებლო სივრცეში საინფორმაციო სისტემების გამოყენების ცდა, დიდაქტიკური მეთოდოლოგიის დამუშავების გარეშე არა თუ ეფუძნება, არამედ წამგებიანი და უგრძელებული კი იქნებოდა [1, 2, 3].



2. ძირითადი ნაწილი

სტატია ეძღვნება ინფორმატიკის დიდაქტიკური სისტემის ძირითადი ელემენტების განხილვასა და ანალიზს (ნახ.1). როგორც ნახაზიდან ჩანს, ინფორმატიკის დიდაქტიკა ფუნქციურად მჭიდროდ უკავშირდება საზოგადოების განვითარების სტრუქტურას [1]. იგი, როგორც სოციალური და საზოგადოებრივი მეცნიერება, ინფორმაციული საზოგადოების განვითარებისა და განათლების დემოკრატიული სისტემის შექმნის ხელშეწყობისა და განათლების დემოკრატიული სისტემის შექმნის ხელშეწყობისა და განათლებაა. არის საზოგადოების ინტერესებისა და საბაზო

მოთხოვნების ვექტორული მაჩვენებელი, როგორც განათლების ხარისხის ამაღლებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების მრავალსახეობისა და ფორმის შექმნის საფუძველი. თავის შედეგებით ორიენტირებულია პიროვნების ფორმირებაზე, როგორც განათლების პროცესის ინდივიდუალიზების უალტერნატივო საშუალება.

ეს მნიშვნელოვანი ფუნქცია ავალდებულებს ინფორმატიკის დიდაქტიკას, იყოს მუდმივდ დინამიური და სამეცნიერო კვლევების ობიექტი, რომელიც იმ პრინციპულ ცვლილებების განხორციელებას შეუწყობს ხელს, რომელიც საზოგადოების ცვლილებების ფონზე აისხება.

სწავლების პროცესში დიდაქტიკის ერ-ერთი მახასიათებელი თვისებაა მასწავლებელისა და მოსწავლეს შორის კავშირის დამყარება. კავშირის დამყარებაში ვგულისხმობთ იმ სანფორმაციო არხის არსებობას, რომლის საშუალებითაც მოსწავლეს მასწავლებლის მხრიდან მიწოდება სასწავლო-აღმზრდელობითი მასალა. ტრადიციულ სისტემაში, რომელმაც საუკუნეები გამოიარა, ინფორმაციის გადაცემის საშუალებად ძირითადად გამოიყენებოდა ვერბალური საშუალება, ხოლო ინფორმაციის დამაგროვებლად ფიზიკური მატარებლები. თანამედროვე საინფორმაციო არხები და საშუალებები, როგორც თვისებრივად, ასევე სხვა მახასიათებლებითაც მკვეთრად განსხვავდება ტრადიციულისაგან და ინფორმაციის ტრანსფორმირება ელექტრონული საშუალებებით ხდება არა მარტი მასწავლებლიდან მოსწავლისაკენ, არამედ პირიქითაც, რასაც კიბერნეტიკაში უპაკვშირი ეწოდება და დიდი მნიშვნელობა აქვს სწავლების პროცესში.

3. დასკვნა

უკუკავშირის განხორციელება მოსწავლიდან მასწავლებლისაკენ წარმოადგენს გარკვეულ რეაქციას, მასზე მიწოდებულ ინფორმაციაზე, რომელიც მან აღიქვა სწავლების პროცესში [2,3]. აღვნიშნავთ, რომ სწორედ ინფორმატიკის დიდაქტიკა უზრუნველყოფს ამ რეაქციაზე დროულ და ხარისხოვან ზემოქმედებას, სასწავლო პროცესის დიაგნოზირებას, შედეგების ანალიზა და შეფასებას, პროგნოზირებას, მოსწავლის ინდივიდუალური სწავლების შინარსის დიფერენცირებას, შესაბამისი მოქმედების განხორციელებას და სხვ.

ინფორმატიკის დიდაქტიკაში განსაკუთრებული ადგილი უნდა დაეთმოს აგრეთვე საგანმანათლებლო დაწესებულების სამეცნიერო-ორგანიზაციული მოღვაწეობას მენეჯმენტის საკითხშიც. საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიმდინარე აღნიშნული პროცესის ამსახველი საინფორმაციო ნაკადის საფუძველია განსაზღვრულ მონაცემთა ბაზების არსებობა. მონაცემთა ბაზების სტრუქტურამ უნდა უზრუნველყოს საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრირების, დაგეგმვის და სასწავლო პროცესის მართვის ამოცანები.

ლიტერატურა:

1. <http://inf.1september.ru/2007/11/02.htm>.
2. : , 2001.
3. http://isher.at.ua/news/didaktika_informatiki/2010-08-20-85.

THE DIDACTIC SYSTEM OF INFORMATICS

Chachanidze Guram

Georgian Technical University

Summary

The use of the information systems and technologies has radically changed the current processes of education system. This causes to state the new tasks towards didactics of informatics; we mean the system of depicting and realizing the modern education processes, to work on the new education management, to realize the modern education system and technologies. By this purpose, there is discussed the main elements of didactic system, such as a student model of information epoch; informatics didactics, as the contributor to developing of the information society, creating the education democratic system, improving the education quality, creating the variety of educational institutions, etc.